ოქმი:**ო02. 3723153001**

თარიღი:**02/06/2023**

# ოქმი № 9

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 31 მაისი

ქ.ოზურგეთი

13.00-13.30 საათი

**თავმჯდომარეობდნენ:** ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ნ. ურუშაძე, ვლ. ხავთასი, დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ალ. ბურჭულაძე, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

### დღის წესრიგი

1.ქ. ოზურგეთში, ჭადრების პარკში(ს/კ 26.26.47), ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების შესახებ.

**მომხსენებელი: ბ. თოიძე**

2 .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,მცხეთის ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ.

**მომხსენებელი: ბ. თოიძე**

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ , კომისიის წევრებს მოახსenა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია კომპანია „სან პეტროლეუმ ჯორჯიას“ წერილი, რომელშიც ისინი ითხოვენ ნებართვას, საკუთარი ხარჯებით, განათავსონ ქ. ოზურგეთში, ჭადრების ბაღში, ცნობილი გურული პოლიტიკოსის ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტი. აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტაცია გადაიგზავნა შესაბამის სამთავრობო უწყებაში, საიდანაც მოვიდა თანხმობა, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ინიციატივას, ამასთან მოითხოვეს ბიუსტის განთავსებამდე ავტორებს დაეზუსტებინათ პოლიტიკოსის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისათვის ,,მცხეთის ქუჩის“ სახელის მინიჭების შესახებ“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

## გადაწყვიტეს:

1.დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში არსებული განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. მხარი დაეჭიროს ინიციატივას ცენტრალურ პარკში ბენია ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე, ამასთან პროექტის ავტორებმა უზრუნველყონ პოლიტიკოსის სახელის დაზუსტება.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი